თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 17.—1914 | ფასი 10 კ. | კვირა, 29 ივნისი.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, მომავალი კვირიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნება.



ვ ლორთქიფანიძე

გარდაცვალებიდან ხუთი წლის შესრულების გამო.



ივანე მაჩაბელი

უკვალოდ დაკარგვიდან 16 წლის შესრულების გამო.

**ყოველკვირული სამხატვრო-სალიტერატურო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი**

**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ—კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელისმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება:** ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე — Тифлисъ, ред. жур. **„Театри да Цховреба“** Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი **№ 7-95.**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


---


## დღეს 29 ივნისს, ქართულ თეატრში

**თედორე ღლონტი** წაიკითხავს ლექციას

## „ქართველთა მამულის ბედი“

ფასი 4 მანეთიდან—10 კაპეკამდე. დასაწ. საღამოს 9 ს.

---

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაღედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი** —1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 17

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპანი“-ს სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 17 — კვირა, 29 ივნისი — 1914 წ.

## 29 ივნისი.

**ძველი და ახალი** უკვე დაიდო საზღვარი ძველსა და ახალს შორის. ეს საზღვარია სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე, სხვათა შორის, აღინიშნა ის მოვლენა, რომ ჩვენს სცენაზე დღემდე მთლიანობა ძნელი სახილველი იყო, — ჰხედავდით პირველხარისხოვან მსახიობს, ნიჭიერად მოთამაშეს, მაგრამ წარმოდგენის ერთსულოვანობას კი — იშვიათად. აქ ბატონობდენ პირველი როლების მოთამაშენი და ანგარიშსაც მათ უწევდენ.

ეს შემცდარი შეხედულება დაჰგმო ყრილობამ და ამ გვარად ჰქრება პრემიერების ხანა, იწყება ახალი, საერთო ძალღონით შემოქმედების ხანა, და ის დასი, ვინც ადრე დაადგება ამ გზას, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს ჩვენს თეატრს.

თანდათან ირკვევა ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის დასთა შემადგენლობა: ქუთაისის დასში უმთავრესად პირველ ხარისხოვანნი — დამსახურებულნი იკრიბებიან, ბათუმსა და ქიათურაში, თუმცა ახალგაზდანი სჭარბობენ, მაგრამ ძნელია ითქვას ხელოვნებაში რა გზას დაადგებიან — სცენაზე ანსამბლის შექმნას შესწირავენ თვის პატივმოყვარეობას, თუ როლებს გამოეკიდებიან; ბაქოს დასის შემადგენლობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაქოს დასს ახალი ტიპის რეჟისორი ჰყავს მიწვეული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ უფრო ანსამბლის მიმდინარეობა გაიმარჯვებს. თბილისის დასი უმთავრესად ნორჩი ძალებისაგან სდგება: რეჟისორნი ახალი სკოლის მიმდევარნი არიან და მსახიობთა უმრავლესობაც ისეთია, რომ თითოეული მათგანი რეჟისორის ნება-სურვილისამებრ ადვილად მოიქნება.

ჩვენ დღემდე სცენაზე ამა თუ იმ პიესის წარმოდგენის დროს ვხედავდით თითოეულ შესანიშნავ მსახიობს, უმეტესად ამ პირველმთვართ ჰქონდათ ხოლმე შებოჭვილი ჩვენი ყურა:ღება; პიესის დედა აზრი, ავტორის იდეის მთლიანობა-კი სადღაც იყო მიკუნჭული; სალიანგო ადგილებზე — მასსიურ სცენებზე — ლაპარაკიც ხომ მეტია: ვერ იქმნა და ჩვენს სცენებზე ბრბო, მასსიური მეტყველება ვერ განსახიერდა სრულის სინამდვილით: „პირველხარისხოვანი“ მსახიობი რომ ერთის წუთით აღგიტაცებდა თვის ხელოვნებით, იქვე რომელიმე მოუხეშავი „მეორე-მესამე“ ხარისხოვანი, ანუ „მასსა“ ისეთი გაქვავებული იერით გამოგხედავდა, რომ აღფრთოვანებულ სულზე ცივ წყალს გადაგავლებდა. საზოგადოებრივ-ესთეტიურ გემოვნების განვითარებამ უკვე მოითხოვა — დღემდე თუ მხოლოდ თითოეულ მსახიობთა განკერძოებულ ხელოვნებას გვიჩვენებდით, ახლა პიესის მთლიანობა — ერთსულოვნება გვიჩვენეთო...

აი, ამ გარემოებას უნდა მიაქციონ მთელი თვისი ყურადღება ჩვენებურმა დასებმა, ისე კი რომ მთლიანობის ანსამბლის უკან დევნაში მსახიობთა შორის სამართლიანობის სასწორი არ გადიხარ-გადმოიხაროს.

მომავალ სეზონში ქუთაისში თუ განსაკუთრებით დამსახურებულნი მსახიობნი იმუშავებენ და თავისი მრავალწლიან გამოცდილებით მკვიდრ საძირკველს ჩაუყრიან დასავლეთ საქართველოში სათეატრო ხელოვნებას, თბილისში სამაგიეროდ სრულიად ახალგაზდა

დასი—ახალი ძალებისაგან შემდგარი—დაიწყებს მუშაობას რომ ხელოვნებაში ახალ მიმართულებას ბინა დაუმკვიდროს. თბილისის სცენის მორიგი საკითხია გაბედვით შეუდგეს მხატვრულ-ხელოვნურ თეატრის შექმნას სრულის ანსამბლის შემოტანით ამისათვის არ უნდა დაზოგონ არცა ნივთიერი და არც სულიერი ძალღონე, როგორც მსახიობ-რეჟისორთ, აგრეთვე გამგეობამ. მხოლოდ ახალი კვალის გამვლებს მოელის დაფნის გვირგვინი...

გემოგანვითარებული მაყურებელი გამრავლდა, მას სწყურია ხელოვნების ასეთი ტაძარი და მაშ ნუღარ აყოვნებთ, — შეუქმენით!

# ჩვენი ზრდა

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის მიმართ წარმოთქმული სიტყვა 8 ივნისს.

ბატონებო! დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა არა მარტო ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, არამედ მთელ ჩვენ საზოგადოებრივ განვითარების ისტორიაში: იგი მოასწავებს ჩვენს ზრდასა და გაძლიერებას.

ჭეშმარიტად დიდი და სასოწარკვეთილი უმადურობა იქნება ისტორიის წინაშე, რომ უარვყოთ ქართველ ერის კულტურული ზრდა-ამაღლება უკანსკნელ 20 – 25 წლის განმავლობაში. რომელი მხარე გინდათ აიღოთ, ყველგან უნდა ვაღიაროთ ზრდისა და განვითაბის ფაქტი. პრესსა, მუსიკა, თეატრი!.. ბევრს თქვენგანს ახსოვს, ბევრმა ისეც იცის, რა მდგომარეობაში იყო ამ 20-25 წლის წინად ეს მხარე ჩვენის სულიერის კულტურისა. პრესას წარმოადგენდა ორი პერიოდული გამოცემა, რომელთაც ორი ათასი მკითხველი ძლივს ჰყავდა; ახლა ჩვენა გვაქვს ოცამდე გამოცემა, რომელთაც რამდენიმე ათი-ათასი მკითხველი ჰყავს; მუსიკა-სიმღერის საქმე ის იყო ფეხს იდგამდა. იმ დროს ამ საქმის მოღვაწე მხოლოდ ერთი თავგანწირული ლადო აღნიაშვილი იყო, რომელმაც შეადგინა მომღერალთა გუნდი და ეს ერთად-ერთი გუნდი მთელს საქართველოში მღეროდა უაკამპანიმენტოდ და დაუმუშავებელ ხალხურ სიმღერებს. მაშინ ამასაც აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება. ეხლა-კი ჩვენა გვაქვს განსაკუთრებული საზოგადოება ფილარმონიული, რომელიც ამ საქმეს ემსახურება; ჩვენა გვყავს რამდენიმე ნიჭიერი და ნასწავლი კომპოზიტორი, რომელნიც ეროვნულ ჰანგებს ამუავებენ, და ანვითარებენ; არა მარტო თბილისში, არამედ პროვინციებშიაც გვყავს დახელოვნებული გუნდები მომღერლებისა.. შემდეგ, --- გაგვიჩდნენ მხატვარნი, მოქანდაკენი...ხოლო თეატრის საქმეში, რომელიც დღეს აქ დამსწრეთ უფრო გვაინტერესებს, ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ამ 20 წლის წინად არსებობდა მხოლოდ ერთი დასი — თბილისში, იშვიადად იმართებოდა წარმოდგენები ქუთაისში და შემთხვევით სხვა დაბა-ქალაქებში. ეხლა-კი მარტო თბილისში, დიდი თეატრისა და დასის გარდა, ოთხი სხვა დრამატიული ხელოვნების წრე მუშაობს თავ-თავიანთ დასებითა; არსებობს მუდმივი დასი ქუთაისში და სხვა დაბა-ქალაქებშიაც მუშაობენ სასცენო მოღვაწეთა წრეები. და ეს ზრდა არა მარტო რიცხვობითია, ეხლა რეპერტუარიც უკეთესია და გაცილებით უფრო მხატვრულ-ხელოვნურ წარმოდგენებსაც ვიხილავთ ხოლმე...

ეს და მრავალი სხვა მაგალითი, რომელთა აღნუსხვის დრო აქ არ არის, ამტკიცებენ საერთოდ ჩვენი ცხოვრების განვითარებასა და გართულებას, რასაც მჭიდრო კავშირი აქვს დიდ მოვლენასთან: იზრდება ჩვენი დემოკრატია და ამავე დროს იზრდება და ვითარდება ეროვნული თვითცნობიერება. ეს ორი დიადი ფაქტორი ასაზრდოვებენ და ამაგრებენ ჩვენს კულტურას...

მაგრამ, ბატონებო, ეს ზრდა-განვითარება სრულებით იმას არ მოასწავებს, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია შევყუროთ მომავალს. არა, ჩვენი მომავალი მაინც ბურუსშია გახვეული, რადგან, რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო მეტი დაბრკოლება და საშიშრობა გვეღობება წინ. ჩვენი ერი დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ერთობ დიდი მუშაობა, სიფხიზლე და წინდახედული მოღვაწეობა გვჭირია, რათა ვსძლიოთ და დავთურგნოთ ეს დაბრკოლებანი. ისტორიული მომენტი გვიკარნახებს ძალების შეერთებას და მიზანთშესაფერისს შეთანხმებას.

კოოპერაცია და კავშირი გვჭირია არა მარტო ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკურს ბრძოლაში და საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაშიაც. ეს კავშირები და ამათი საერთო კავშირი მოგვცემენ ხელში მძლავრს იარაღს, რომლით საუკეთესო მომავლისაკენ გავიკაფავთ გზას...

ამ შეთანხმებისა და შეკავშირების თვალსაზრისით თუ შევხედავთ ჩვენს დღევანდელს ყრილობას, უნდა ვაღიაროთ მისი დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჩვენი თეატრის საქმე, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეროვნულ და კულტურულ ცანვითარებისათვის, ერთობ გართულდა და გაძნელდა. ის, რაც წინად ერთ ნიჭიერ ადამიანს შეეძლო ეკისრა და გაეკეთებია, დღეს მხოლოდ საერთო შეთანხმებითა და კავშირით გაკეთდება. ის დროც იყო, როცა ჩვენს თეატრს მეცენატებიც-კი ჰყავდა გაბატონებულთა წარმომადგენლებს შორის. მაგრამ, როცა დაინახეს, რომ თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულება ჩვენს ხელში ეროვნულ გაღვიძებისა და წინსვლის იარაღათ გადიქცა, წინ გადაგვეღობენ და ხელს გვიშლიან. გაგვიჩნდა ბევრი გარეშე მიზეზი და ამასთან საქმეც გართულდა და ამტომ შეიქმნა საჭირო საერთო მოლაპარაკება, შეთანხმება და გათვალისწინება ქართული თეატრის მდგომარეობისა.. შეიძლება, ამ პირველ ჩვენის ცდის პრაქტიკული შედეგი არ იქნეს თვალსაჩინო, დიდი შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ მისი პრინციპიალური მნიშვნელობა მაინც დიდია, როგორც პირველის ნაბიჯისა. გილოცავთ რა ამ ნაბიჯის გადადგმას, ვიმედოვნებ კიდეც, რომ თქვენის მეცადინეობით ეს ნაბიჯი მაინც ნაყოფიერი და საგრძნობელი იქნება... პრაქტიკულადაც... მაშ, გაუმარჯოს თქვენს დღევანდელს მუშაობასა ჩვენი დიდი ეროვნული საქმისათვის!..

**გ. ლასხიშვილი**



**ქართული სცენის პირველი მსახიობქალნი**

1) ელენე დიმიტრი ყიფიანის ასული, მეუღლე ანტონ ლორთქიფანიძისა, 2) მარიამ ივანე ყიფიანის ასული, მეუღლე დავით ქართველიშვილისა.

(აწ გარდაცვალებულნი. ორივენი სცენაზე გამოვიდნენ დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით 70-იან წლებში)

## რა შემოგწირო?

—

რა შემოვწირო მსხვერპლად შენს საკურთხეველს?

სული ჩემი?

ის ცხოვრების ზღვაზე დაღუპულ გემის იალქნებს დაჰკვნესს.

გული? უკვე დაიფერფლა მაცდურის სამსხვერპლოზე!

ნაზი, უმანკო პირველი კოცნა? იგი უკვე გახრწნილ ქალის ვნებით მონამულ ტუჩებმა მომტაცა!..

იქნებ ჩემი სხეული გსურს დაიწვეს შენს სამსხვერპლოზე?

შემოგწირავდი! მაგრამ ვინ მომცემს ამის უფლებას?

ცხოვრების ულმობელმა კანონებმა ჩემი სხეული საზრდოთ მიუსაჯა მატლთა და ქვეწარმავალთ.

ვინ მომცემს, ვინ უფლებას! ცეცხლის კოცონზე დაიფერფლოს ჩემი სხეული!!!

**მიხ. ბოჭორიშვილი**

## ფერიას ჯილდო

(გადმოკეთებული)

ერთხელ ბრწყინვალე ფერია ჩამოეშვა დედამიწაზე კეთილ განძრახვით, რათა გაენაწილებინა სხვადასხვა მადლი ახალგაზდა გაუთხოვარ ქალთა შორის. მასთან მყოფმა პითავმა ჩაჰბერა ბუკს და ფერიას წინ წარუდგნენ ახალგაზდა ქალნი, თითო ყოველი ერისაგან.

გულუხვმა ფერიამ უთხრა მათ: — მე ვეცდები, არც ერთი თქვენგანი ჩემის საჩუქრით

არ დარჩეს გულნაკლული. თითო თქვენგანი მიიღებს სხვადასხვა ნაირ ჯილდოს, რადგანაც მე არ ძალმიძს მოგცეთ ყველას ერთი და იგივე; ესეც რომ არ იყოს, არც თქვენთვის იქნებოდა სასიამოვნო ერთგვარობა.

ფერიამ დაიწყო განაწილება: კასტილიის მცხოვრებ ქალს მისცა გრძელი და შავი თმა; იტალიელს — მწველი თვალები; ინგლისელს — კეთილგონიერება; პარიზელს — ვარდის ფერი სახე პირისა; ავსტრიელს — თოვლივით თეთრი კბილები; გერმანელს — სენტიმენტალობა; რუსისა — წამოსადეგობა ტანისა. შემდეგ ფერიამ ნეაპოლიტანელ ქალს მიანიჭა სიხარული და მარჯნის ფერი სიწითლე ტუჩისა; ფლამანდიელისას — აზროვნება, და წასასვლელად მოემზადა.

— მე რაღას მომცემ?—იკითხა ქართველმა ქალმა.

—ღმერთო ჩემო! ნუთუ თქვენ დამავიწყდით?—წარმოსთქვა ფერიამ.—საუბედუროდ მე აღარაფერი დამრჩა, მაგრამ არა უშავს: სთხოვე ამ ახალგაზდა ქალებს და, მე მგონი, არც ერთი მათგანი არ დაგიშურებს ცოტაოდენს ჩემის საჩუქრისაგან.

ამ სიტყვაზე ყველა ქალი მიუახლოვდა ქართველ ქალს და უბოძა: ერთმა თმის ნასთი, მეორემ—სახის ფერი, მესამემ სიხარული, მეოთხემ აზროვნება, მეხუთემ სითეთრე კბილისა. ერთი სიტყვით მან იმდენი საჩუქარი მიიღო, რომ საწყალი დავიწყებული ქართველი ქალი ყოველფრით ყველაზე მდიდარი და ლამაზი შეიქმნა.

პ. ბოკერია

## სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი



**ივანე მაჩაბელი**

დიდნი პიროვნებანი განსაკუთრებით მითი არიან დიდნი, რომ რამდენადაც დროყამით გვშორდებიან იმდენად ბუმბერაზდებიან ჩვენს თვალში...

სწორედ ასეთი პიროვნებაა ივ. მაჩაბელი... არის მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ დღესაც კი, თექვსმეტი წლის თავს, რიგიანად არ ვიცით— მკვდარია თუ ცოცხალი ეს მრავალღვაწლმოსილი ქართველი, ევროპიულ სწავლა-ცოდნით გონებაგაშუქებული მტკიცე მამულიშვილი, მუდამ ფხიზელი მოაზრე და დაუღგრომელი მშრომელი მშობელი ერის საკეთილდღეოდ,—1898 წ. 26 ივნისს ნაშუადამევის მეოთხე საათზე სახლიდან გავიდა და გაჰქრა—ცამ ჩაჰყლაპა თუ დედამიწამ— დღესაც ძე ხორციელმა არ იცის...

ივ. მაჩაბელი ქართლელი იყო, დაიბადა სოფ. თამარაშენში; პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში კურსის (საბუნებისმეტყველო ნაწილზე) დამთავრების შემდეგ საზღვარგარედ გაემგზავრა და ჰოჰენჰეიმის აკადემიაში შევიდა, სადაც სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი შეისწავლა; აქედან საფრანგეთს გაემგზავრა მეღვინეობის შესასწავლად და 1879 წ. პეტერბურგს დაბრუნდა აქ ილ. ჭავჭავაძესთან ერთად სთარგმნა „მეფე ლირი“ შექსპირისა. სამშობლოში დაბრუნებული მსახურებდა სათ. აზნ. სკოლის ინსპექტორად, თბ. სად. მამ. ბანკის კასირად, დამფასებელ კომისიის წევრად, ბანკის გამგეობის წევრად. ამავე დროს იგი მწერლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა: 80-იან წლებში ჟურ „ივერიას“ აწარმოებდა, შემდეგ ს. მესხისგან „დროება“ შეიძინა და ამ გაზეთს სცემდა საკუთარის რედაქტორობით, სანამ მართებლობამ არ დაუხურა. 90-იან წლებმა ბანკის საქმების გამო უთანხმოება მოუხდა მეორე დიდ ქართველთან—ილია ჭავჭავაძესთან, ბანკს განეშორა და გორის სინდიკატის საქმე მოაწყო.

რომელ საქმეშიც კი იყო, ყველგან დიდის მუყაითობით მუშაობდა. ამ მხრით ნამდვილი მუდამ გამრჯე ინგლისელი იყო, ინგლისური ანდაზის—„დრო ფულიაო“-ს თანახმად მომქმედი. ამ მხრით არ ჰგავდა მეონარა თანამემამულეთა უმრავლესობას: დროს დიდათ აფასებდა

და კვირაში მხოლოდ ორი საღამო ჰქონდა დანიშნული,—ერთი ორშაბათი მახლობელთა მისაღებად, მეორე პარასკევი—სალიტერატურო-საზოგადოებრივ საკითხთა შესახებ საკამათოდ, დანარჩენ დროს კი, თუ სამსახურში არ იყო, ან კითხულობდა, ან სწერდა,—სამშობლოს გათვითცნობიერების სალაროს ამდიდრებდა.

ივანე მაჩაბელი 80 90-იან წლების ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელია, სწორ-უპოვარი ინტელიგენტი – გონება-ნათელი, სულით მაღალი, ნამდვილი ჯენტლემენი, ფრიად სათვალჩინო მოღვაწე, მაგრამ უკვდავება და მშობელი ერის მადლობა შექსპირის ნაწარმოებთა თარგმანებით დაიმსახურა!

დიახ, თარგმანებით!

საკუთრივ სთარგმნა შექსპირის ათამდე პიესა.

ამ თარგმანთ გაამრავალფეროვნეს ქართული ენამეტყველება, გაამდიდრეს გამოთქმებით, მამოჰქნეს და გაალამაზეს. ეს თარგმანები სკოლებში მიღებული უნდა იყოს არა მხოლოდ იმის სასელმძღვანელოდ, თუ როგორ ითარგმნებოდეს უცხოურიდან, არამედ ქართული ენის შესასწავლადაც..

ადამიანის სულისა და გულის დიდებულ მხოველს, მესაიდუმლეს - შექსპირს დიდებული ქართველი გამომთქმელი შეხვდა,—და ეს ჩვენი ვანო მაჩაბელია! .

დიდიხანია მისი თარგმანნი მადლიან გამომცემელს ელოდენ და ახლა, როგორც მკითხველები განცხადებიდან შეიტყობენ, მის მეუღლეს—კნ. ანასტასია ალექს. მაჩაბლისას განუზრახავს ერთ წიგნად გამოსცეს. ეს ფრიად დიდი დამსახურება იქნება როგორც თვით ვანო მაჩაბლის, აგრეთვე ქართველი ხალხის წინაშე და იმედია საზოგადოებაც ხელს შეეწყობს პატივცემულ კნ. ანასტასიას, რომ ეს კეთილი განზრახვა მალე საქმედ აქციოს.

—

## ვ. ლორთქიფანიძე



ვ. ლორთქიფანიძე

27 ივნისს შესრულდა 5 წ., რაც გარდაიცვალა ვ. ლორთქიფანიძე, ცნობილი მოღვაწე-მწიგნობარი, არ. ჯორჯაძისა და მისი წრის ერთი საუკეთესო ამხანაგ-თანამშრომელთაგანი. დიდი მონაწილეობა მიიღო ახალი „ცნობის ფურცლის“ შექმნა-წარმოებაში 1901 წლიდან მის დახურვამდე და შემდეგ მის მომდევნო გამოცემებში. ჟურნალ „მოამბესა“ და გაზეთებში მრავალი ნარკვევ-წერილი აქვს მოთავსებული. ფრანგულიდან სთარგმნა „რომის ისტორია“, „საბერძნეთის ისტორია“, „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“, „ჩარლზ პარნელი“ და სხ. ცნობილი იყო აგრეთვე ვითარცა პრაქტიკ ლი მუშაკი და მისი უდროვო სიკვდილით არჩილ ჯორჯაძის ბანაკს ფრიად სასარგებლო მოღვაწე გამოაკლდა, რასაც მისი თანამოაზრენი ალბად დღეს უფრო მწვავედ ჰგრძნობენ.

**ი—ი**

## შორს..

(ნ. მ-ყ-შვილს)

შენ შორს მიდიხარ, ჩემო იმედო; ოჰ რა ძნელია ეს განშორება!.. რა ჩქარა გავლო დრომ, დრომ სანეტარომ! აწ მოგონებად შეიცვლება წუთნი ნეტარნი .. მიდიხარ, მაგრამ მე საიდუმლო შენდა მიმართ, მაინც ვერ გამცნე...—ალარ ძალმიძდა. .

გულგატეხილი, რწმენა დაკარგული დავდივარ... ახლა სული ჰგრძნობს სრულ გაკოტრებას, მას აღარ ჰხიბლავს დღეს არაფერი. . შენს განშორებას თან მიჰყვება მთელი ჩემი ნეტარება, ნეტარება ამ ქვეყნიური .. დღეიდან ჩემი წმინდა მისწრაფებანი დამიწყებასზლა მიეცემიან... აღარ მწამს „მრწამსი“... განშორების ჟამს თვალიც ვერ მოგკარ, დავინახე მხოლოდ მიჰქროდა ღამის სივრცეში მატარებელი და ალბად შენც თან მიგაქროლებდა ..

უმზერდი დიდხანს თვალცრემლიანი, სანამ მატარებელი მთლად არ მიიმალა და მისი „ოხვრის“ ხმა არ მოისმა შორიდან... ვუმზერდი მხოლოდ; განა მეტს რას გავაწყობდი?..

დღეიდან შევიყვარე თვით ის თეთრი მაღალი სახლი. . ხშირად საღამოობით ჩავივლი ხოლმე, იმ ქუჩაზე, მაგრამ ვსტყუვდები, იქ აღარა ხარ .. მშვიდობით, ჩემო იმედო... ნუ თუ სამუდამოდ?.. ტურფა სამშობლოს არ გაიხსენებ? .

**ი. ჯიხაიშელი**

# ქართული სახიობა

**„ვინ არის დამნაშავე?“** პიესა 4 მ. და 5 ს. ნინო ნაკაშიძისა.

შალვა დადიანმა თავისი სიტყვა გვასმინა, მაგრამ სიტყვაზე უფრო ცხოვლად გვიჩვენა თავისი ქ ა რ თ უ ლ ი  ს ა მ ს ა ხ ი ო ბ ო უნარი და ნიჭი.

ქართული მელპომენის ტაძარი დიდი ხანია ასე მადლიანად არ ამეტყველებულა, როგორც 15 ივნისს.

პიესა სადა, მეტად მარტივი, ერთის შეხედვით უბრალო, მაგრამ იმავე დროს ღრმა, ბევრ მწვავე ფიქრთა აღმძვრელი, ნამდვილი ეროვნულ-ხალხოსნური (და არა ნაციონალისტური), ნაწარმოები გამოდგა.

დაახლოვებით ასეთი ხალხოსნური პიესით გაახილა თვალი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ქართულმა სახიობამ (გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შემოქმედებანი), ასეთივე რეპერტუარი შეჰქმნა 80-იან წლების დრამატურგიამ (ავ. ცაგარელი და გ. სუნდუკიანი) და აკი ამიტომაც იყო, რომ როგორც პირველად, ისე მეორედ ქართულმა სცენამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ასეთივე ნიშნები მოგვცა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლმა“ და ამ ბოლო ხანებში ქ-ნ ნინო ნაკაშიძის პიესამ „ვინ არის დამნაშავე?“

პიესის შინაარსის მოთხრობით აღარ შევაწყენთ თავს მკითხველს, რადგან იგი უკვე დაბეჭდილია („გრდემლი“, წიგნი II- 1912 წ.) და ყველას შეუძლიან წაიკითხოს, ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესაში აღწერილი ხატებანი სრულის სისწორით არიან დახასიათებულნი.

პიესის ნაკლი, ჩვენის აზრით, ისაა, რომ დაწერილია გურული გამოთქმით,—მართალია მომქმედი პირნი გურულები არიან, მაგრამ მის გამო მთელი პიესა რომ ასეთი მიმოხვრით იწერებოდეს, რაიცა ქართველ ხალხის უმრავლესობას მის გაგებას გაუჭირვებს,—ვისთვის რა საჭიროა? შეუფერებელი, პსიხოლოგიურად შემცდარია ის სცენაც, ფატი ბაბუას სიკვდილის უმალვე რომ გაჰყვება არსენს,—სხვა არა იყოს რა, ახალად მიცვალებულის (რომელიც მუდამ ფატის ზნეობრივი დარაჯი იყო) წინაშე კრძალულება ნებას არ მისცემდა ასე სასწრაფოდ გასცლოდა ჯერ კიდევ გაუცივებელ ცხედარს... გაჭიანურებული და ზედმეტია მესამე მოქმედების ბოლო სცენაც—სალომეს და ივანეს შემოსვლა: არსენას პიროვნება ისედაც გამორკვეულდახასიათებულია. ეს ზემორე ჩამოთვლილი ნაკლნი რო ჩამოეცალოს პიესას, დარწმუნებული ვართ, იგი სახალხო თეატრის რეპერტუარში სათვალჩინო ადგილს დაიჭერს...

შალვა დადიანის დასის თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა,—ერთსულოვანობა, სისადავე, სიწრფელე, სიმარტივე, გონიერებასთან შეთანხმებული ზომიერება,—აი რითი ხასიათდება მათი სასცენო ხელოვნება. ერთი მთავარი მომქმედი პირი, პირველი არტისტი აქ არა სჩანდა,—მთელ წარმოდგენაში მხოლოდ პიესის სული იყო გაპიროვნებული, რომლის ნიჭიერი გამსახიერებელნი იყვნენ: შალვა დადიანი (სიკო)—დინჯი, ღრმად დაკვირვებული, სადა ხატება, ყოველივე წვრილმანის გამთვალისწინებელი.—სიკო (შალვა დადიანი) კალამს იღებს ხელმოსაწერად, მაგრამ უცებ კი არ აწერს ხელს, როგორც ამას ყველა ჩვეულებრივი მსახიობი იზამდა,—არა! გლეხის ოჯახში საწერ-კალამი მოძველებულია, კალამი უხეიროა, ვერ სწერს,—შ. დადიანი კალამს მუხლის თავზე გადისვამს, გამოუცდელი ხელით აწერს ხელს და ამ ერთის ხელმოსმით გაჩვენებთ მთელ პიროვნებას გლეხ სიკოსას. წუხილს, ნაღვლს, გაჯავრებას, შფოთს ყვირილით კი არ გადმოგვცემს, რომ თეატრი შეზანზარდეს,—არა! იგი ყოველივეს დუმილით შიგნი-შიგან განიცდის და მაყურებელსაც აგრძნობინებს თვის სულიერ ნაღვლსა თუ სიამეს,..

ქ-ნი ღოღობერიძე (სალიხე) ტიპიური, თავით-ფეხამდე სინამდვილით განხორციელებული ხატებაა, მიხვრა-მოხვრით, გამოთქმით, ჩაცმულობით, გრიმით სრულქმნილი,—მთელი პიესის აზრით გასულდგმულებული...

ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილი (ფატი), გურული ქალის სახე, ოლა ლეჟავა (სოფო), მიჯნურისგან შეუწყნარებელი, რომელიც თვის სულიერ დრამას დუმილით უფრო გადმოგვცემდა, პლ. კორიშელი (ბაბუა), ეს ღვთაებრივათ საუცხოო უკიდურეს წვრილმანობამდე კმა-ზომიერი მოხუცი, ბ-ნი მურუსიძე (არსენი), გამოხედვით, ხმით, გამოთქმით, ყოველი ნაბიჯით სრულქმნილი,—ერთი მეორეს ეცილებოდენ როლების შეგნებითი აღსრულებით პიესის განსახიერებაში და აკი მიზანსაც მიაღწიეს.

მხატვრულის მხრით პიეს შეხამებელის ელფერით იყო დადგმული.

წარმოდგენას საკმაოდ დიდი საზოგადოება დაესწრო.

სასურველია ეს პიესა „სახალხო სახლში“ დაიდგას...

**ჭოკოსანი**

# ქართული მჭვრმეტყველება

**„სიმახინჯე, როგორც სახე მე-XIX-ე ს. ქართველისა დღევანდლამდის“**, ვ. კოტეტიშვილის ლექცია.

ამ ბოლო ხანებში ქართველმა ლექტორებმა იმდენად იმატეს, რომ გზა ველარც-კი აგიქცევიათ: ვინ არ გინდათ და რაზე არ გინდათ, ლექციას არ კითხულობდეს. მაგრამ ახალგაზდა ლექტორი ვ. კოტეტიშვილი მათგანი არ არის. მშობლიურ ნიადაგზე აღზრდილ-გაწრთვილი, ნამდვილ ქართულად მოაზრე-მეტყველი, აი ვინაა ვ. კოტეტიშვილი და ეს ნათლად დაამტკიცა თვისი ნიჭიერად შედგენილი, ზემორე ამოწერილ სათაურის ლექციით, რომელიც გასულ კვირას მუსიკალურ საზოგადოების დარბაზში წაიკითხა. ლექცია ფრიად შინაარსიანი გამოდგა. ეტყობა ახალგაზდა ლექტორი ზედმიწევნით გასცნობია სამშობლო ლიტერატურას, რომ ასე კარგად დაახასიათა ჩვენი თანდათანი გა[illegible]დ[illegible]ქმნა. იმდენი მასალა შეუგროვებია, გგონია იმეორებსო. ლექციის შინაარს არ მოვიყვანთ, რადგან განზრახული გვაქვს მისი ბეჭდვა და ჩვენი მკითხველები თვით გაიცნობენ.

ლექციის შედარებით ნაკლები ხალხი დაესწრო, უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი, რომელმაც ლექტორი ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა. სასურველია ამ ლექციას გაიმეორებდეს ხალხისთვის.

**—ლი**

# ოცნების ტალღებზე

ზღვის ტალღათა ქაფის აკვანს ვერწეოდი ჩემთვის წყნარად,
ხმა შემესმა საამური ჰაეროვან ვერცხლის ზარად.
თმა-გიშერი გავიშალე, გული გავხსენ ტრფობის ქნარად,
უცხო სტუმრის მისაღებად, ცისკრის ველის ნიავ-ქარად!
ვინ ხარ, ან სად? რას მანიჭებ ძველ ოცნების ქსელის ფასად?
ხმამან შენმან სანუკვარმან მთლად გარდამქნა ტრფობის თასად.
მთის მწყემსი ხარ? ნუ გეშინის! წამწამთ ისრებს არ გცხებ დასად,
ტკბილ ნექტარით გაგაბრუებ, ღმერთებს მიგგვრი მათ მის მსგავსად!

* *
*

მაგრამ აგერ ცის იერზე გიმზერ ობოლს, ფერმიმკრთალსა,
თითქოს ვარსკვლავთ ჩირაღდანი მოეცელოს განთიადსა.
მანდ რას დგეხარ? მოვედ ახლოს, გულს ჩაგიკრავ ვით მშვიდ კრავსა,
საგრილებლად დაგიჩრდილებ აფრად გაშლილ ღალალ-კავსა!
ჰხედავ, მზესა პირი ავწვი, ვტაცებ ცისკრად ცეცხლის ფრთასა,
თვით მშვენება ფეხშიშველი შენს სამებრად მოვვლი მთასა.
შენ, კაცთშორის უალრესო, შენ გაკუთვნებ გულის ვარდსა,
მზემან ჩემთან მოსვლად მოგცეს ეტლი თვისი მშვიდ ლაჟვარდსა!

* *
*

ოჰ, ნორჩო ყრმავ, სევდ-ს წალკოტს ვჰვრეტ აქედან ცეცხლის თვალით,
შენს ლაწვებსა მორცხვობა რთავს ფერმკრთალ ვარდის ცრემლთა ნამით.
მო, ჰე სიძევ, ძაძას მოგხსნი, სამოსს მოვქსოვ შენთვის ლალით;
ნართვილ წამწამს შეგიმშრალებ დამშთვალ ბაგის მწველის ალით!
ოჰ, ეგ კვნესა მომდინარე მაგ უბინო გულის ბაღით
ცრემლთა შხეფით რატომ ირწყვის ეგრე ობლად, თითქოს მალვით?
ოჰ, ნუ გარბი, მომეახლე, ნუ მეპყრობი ეგრე კრძალვით,
მე გასწავლი ტრფობის ზღვაზე ტურფა სრიალს ვარდთა ნავით!

* *
*

ოჰ, რარიგ მწყურს ახლო მყავდე სატრფიალოდ განაზებულს,
გულთან თავი მოგეზიდოს საზმაწებოდ განმზადებულს!
ვიშ, რა სიზმრებს მოგივლენდი ნეტარებიაა გაბრუებულს,
გულსა ცემას შევუწყვეტდი, ვნების ტალღით აღელვებულს.
შორს ფრინველნი ზმანებისა შეგამკობდნენ ვითა რჩეულს,
ღმერთთა მირონცხებულ მგოსანს გაღგიშლიდნენ ზეცის რვეულს,
ნიავიც მყის მოგტაცებდა კვნესას, გულით ამოღებულს,
ტუჩზე ღიმილს გაგიშლიდი, ვნების წყაროს ამოვლებულს!

* *
*

მოვედ ყრმაო, ჯერ შენ კიდევ პატარა ხარ, ნუკრი ტყისა,
შენ შეგფერის წალკოტობა, ალმასობა დილის ცვრისა!
მარქვი, ყრმაო, შორს რად დგეხარ? ვინ ხარ, ანუ რამდენ წლისა?
ბრძოლად იყავ, რომ შუბლს გიმკობს ეგ გვირგვინი ნორჩ დაფნისა?
ბედნიერო, ვისი ძე ხარ? რომელ ზეცის? რომელ მზისა?
ან ვინ არის დედაშენი, ფერიაა ალაზნისა,

„ვინ არის დამნაშავე?-ში"

მონაწილენი 15 ივნისს



ო. ლოლობერიძე



პ. კორიშელი



ა. მურუსიძე



ფრუშაძე

# ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის ყვავილები



**კიტა აბაშიძე**

... თუ ძმა ხარ, ქართულ წარმოდგენაზე რეცენზია დამიწერე, გინახავს თუ არა — სულ ერთია...



**გ. ლასხიშვილი**

... ბედნიერი ვარ და... მეტი რა მეთქმის!..



**ა. კრინიცკი**

... ბ-ბო მიმართულება კარგია, პროექტები უკეთესი, „რეჩებს" ხომ აფერი სჯობია, მარა მაინც ფული...

---

თუ შენს მსგავსად ცას ეკუთვნის, ღმერთი არის ღმერთებისა,
ნეტარება ნეტარების და კურთხევა კურთხევისა?!.

* *
*

შენ ნათლდები? გეშინიან, ყრმაო, ჩემი შეხვედრისა?
რატომ, გიყო, შენ გაგათბობს ცეცხლი ჩემი შეხებისა!
შენს ღიმილში ჩემი ღიმი იქმნეს ერთი სახებისა,
ვით ქანდაკი იდუმალი ცათ სამეფოს მშვენებისა!
ივერიის მადლს უმკიხარ, შესადარი ღმერთებისა,
სევდის ყვავილს ნანა უთქვამს, ვით ქვითინი ვარდთ მთებისა!
ოჰ, მოვედი! მწამხარ! მჯერა... მჯერა შენი მძლე ფრთებისა:
აპოლო ხარ, მუზათ სიძე, და მხედარი ღმერთებისა!

* *
*

შენი მორცხვი თრთოლვა მასმენს, რომ გიყვარვარ თურმე შენცა,
მეც მიყვარხარ, ჩემო ტურფავ, მე სიამე, თრობა, შენცა!
მშვიდნი თვალნი უმანკონი მოგაფრქვევენ რწმენის ცეცხლსა,
აგაცისკრებ ჩემთან ერთად, ვითა სხივი ვარდის ცრემლსა!
ათასთ შორის შენ ერთს გტოვებ, ვით ზეციერ ტკბილ სიმებსა,
შეისმინე ჩემი აჯა, შეისმინე ჩემი კვნესა!
თერგ-ალაზნის პირად დავსხდეთ და ვუყუროთ ზღაპრის ღმერთსა,
თუ მზის ოქროს სხივთა ისრით როგორა რთავს ცელქ ეთერსა.

* *
*

ზღვის ტალღათა ქაფის აკვანს ვერწვეოდი ჩემთვის წყნარად,
ხმა მომესმა საამური ჰაეროვან ვერცხლის ზარად.
თმა-გიშერი გაიშალე, გული გავხსენ ტრფობის ქნარად,
უცხო სტუმრის საცისკროვნოდ, მის ღიმილის ნიავ-ქარად.
ნუ მერიდები, ჩემო კარგო, ნუ მერიდები მორცხვი მარად,
შენი სახის ქანდაკს ვუმზერ ჩემ ოცნების ტაძრის კარად.
ოჰ, მუზათა სიზმრის სიძევ, ნეტარი ხარ ღმერთთა დარად,
თვით მშვენება მშვენებისა და აპოლო ტრფობის ფარად!

**დ. კასრაძე**



**შალვა დადიანი**

..მადლობა—ჩემს მეტს ყველას...



**ვ. შალიკაშვილი**

...რაჭული შაშხი! ჰმ... გემრიელია მაგრამ... მაღლა ჰკიდია...



**სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა**

(შუაში ზის ყრილობის საპატიო თავმჯდომარე მხცოვანი მგოსანი **აკაკი**, მის ირგვლივ—პრეზიდიუმისა და დრამ. საზ. გამგეობის წევრნი, მწერალნი, მსახიობნი, სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხ.)

# ჩვენი მუსიკოსნი



კომპოზიტორი

**ნიკოლოზ სულხანიშვილი**

კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილს ფართე საზოგადოება უკვე იცნობს მისი შემოქმედებითი მუსიკალური ნიჭი ღირსეულად დააფასა არა მარტო ქართულმა, არამედ რუსულმა პრესამაც ერთხმად. მის ნამდვილ ხალხურ, უტყუარ ნიჭის ზეგავლენით შექმნილ კომპოზიციების შესახებ აღტაცებული აზრი გამოსთქვა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ჩვენმა პატივცემულმა კომპოზიტორმა დ. ი. არაყიშვილმა. მისმა პირველმა საჯაროდ გამოსვლამ ვლ. მესხიშვილის იუბილეზე და შემდეგ ილია ჭავჭავაძის საღამოზე—ერთბაშად მოაჯადოვა ქართველი საზოგადოება თვისის ნაწარმოებით „გუთნური დეკლამაციით“, „სამშობლო ხევსურით“ „ორატორია-მესტვირულით“, სალხინო „მაშ-გამარჯვებით“, საყმაწვილო ოპერიდან „ორი ძალით“ და სახალხო კომპოზიტორის სახელი მოუხვეჭა, როგორც აქ, ისე ბათუმსა და კავკავს გამართულ კონცერტების შემდეგ. მთავარ ღირსებას ბ-ნ სულხანიშვილის შემოქმედობის ნიჭისას შეადგენს ის, რომ მის მიერ დამუშავებულ ხალხურ მელოდიებში ხალხური კილო და თვისებანი უმწვერვალეს ზომამდეა დაცული. მაგრამ ყველა ეს მცირეა შედარებით იმ დიად ნამუშავართან, რომელიც ბ-ნ სულხანიშვილს ახლა დაუმთავრებია. ეს გახლავთ ოპერა „პატარა კახი“. ამ ოპერას ავტორი კარგა ხანია რაც დასტრფის და ამუშავებს, ვით ნაზ-სათუთ ქმნილებას, მაგრამ დღემდის მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ გამოემზევებინა.

ახლა კი დანამდვილებით გვატყობინებენ, რომ ბ-ნი სულხანიშვილი ამ შემოდგომაზე დასდგავს თბილისში ოპერის პირველ მოქმედებას მთლიანად. როგორც ხოროებს, ისე არიებს მწყემსის, ირაკლისა და ტურფასი აღტაცებაში მოჰყავს, თურმე, მსმენელი, რომელთაც კერძოთ მოუსმენიათ ეს ადგილები. მოსალოდნელია ბ-ნი სულხანიშვილი ოპერა „პატარა კახით“ სათვალჩინო განძს შეიტანს ჩვენ მუსიკის განვითარებაში. ამისი თავდები ისიც არის, რომ ბ-ნი სულხანიშვილი შეუპოვარი შრომის მოყვარეა, რაც ფრიად სანუგეშოა ჩვენთვის.

**პარ-დონი**

## სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის სხდომები*).

როგორც წინა ნომერშიც გვქონდა მოხსენებული, ყრილობა გაიხსნა 8 ივნისს 1914 წ. ქართულ თეატრში დილის $12^1/_2$ საათზე 175 კაცის თანდასწრებით და მთელი დრო მხოლოდ პრეზიდიუმის არჩევას, კომისიის შედგენასა და მისალოც სიტყვებისა და დეპეშების კითხვას მოუნდა.

მეორე დღეს კი, 9 ივნისს, საღამოთი უკვე დაიწყო მოხსენებათა კითხვა და კამათი მათ შესახებ. პირველად წაკითხულ იქმნა ა. ანდრონიკაშვილის მიერ მისივე მოხსენება „ჩვენი დრამატურგია“ და შალვა დადიანის მიერ „რეპერტუარი“. ამ ამ დღით კამათმა დიდხანს გასტანა და რეზოლიუციის შედგენა გადაიდვა მეორე დღისათვის.

10 ივნისს უკვე 223 წევრი დაესწრო სხდომას. ამ დღესაც უმთავრესად კამათი რეპერტუარის შესახებ იყო და რეზოლიუციის პროექტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს 11 ივნისისათვის გამოსაცხადებლად. ამავე სხდომაზე ბ. პეტრე მირიანაშვილმა წინადადება შემოიტანა, პანაშვიდი გადაეხადათ ერეკლე მეფის დროის სასცენო მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად. ყრილობამ მოიწონა ეს წინადადება და მიანდო პრეზიდიუმს მისი გამოწყობა. შემდეგ დრამატურგმა იოსებ გედევანიშვილმა წაიკითხა მოხსენება „დრამატურგთა კავშირი“. კამათის შემდეგ ყრილობამ სასუ-

---

*) რადგან განზრახულია, ამ მოკლე ხანში გამოიცეს პირველი ოქმები და მთელი ნაშრომი ყრილობისა, ამიტომაც ჩვენ მხოლოდ მცირე ანგარიშს გადმოვცემთ ყრილობისას დავბეჭდავთ მხოლოდ დადგენილებათ,

რველად იცნო „ქართველ დრამატურგთა კავშირის" დაარსება.

11 ივნისს გამოცხადდა რეზოლიუციის პროექტი პრეზიდიუმისა რეპერტუარის შესახებ და ცოტა შესწორებით მიღებულ იქმნა. ბ. არჩ. ავალიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართული ენა ქართულს თეატრში". ამ საკითხის შესახებ რეზოლიუციის გამოტანა გადაიდო 12 ივნისისათვის. შემდეგ ბ. სოფრ. ტარუაშვილმა წაიკითხა მოხსენება „დრამატიულ საზოგადოებათა კავშირი". ამ მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია და გადაეცა საგანგებოდ ამისთვის არჩეულ კომისიას თ. კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით. იმავ სხდომაზე თ. კიტა აბაშიძემ წაიკითხა მოხსენება „რეცენზია და თეატრალური კრიტიკა". გამოტანილ იქმნა ამის შესახებ რეზოლიუცია და მიღებული.

12 ივნისს გამოცხადდა რეზოლიუცია „ქართულ ენის შესახებ" და შესწორების შემდეგ მიიღო ყრილობამ. აღძრულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, რომ ნაცვლად 2 იანვრის სათეატრო დღესასწაულისა აღნიშნულ იქმნეს 1791 წლის თავი, როგორც პირველი ხანა ქართულ თეატრის წარმოშობისა. ყრილობამ ამის შესახებ გამოსთქვა სურვილი მომავალ 1916 წ აღნიშნულ იქმნეს 125 წ. ქართული თეატრის დაარსებიდან და 2 იანვარიც დარჩეს ისევ სადღესასწაულო დღედ. შემდეგ ბ. ავ. ფალავამ წაიკითხა მოხსენება „სასცენო ხელოვნების შესახებ" რეზოლიუციის გამოცხადება გადაიდო შემდეგისათვის. ექ. ვახტანგ დამბაშიძემ წაიკითხა მოხსენება „დრამატიულ კურსების დარსების შესახებ" და ამის რეზოლიუციის გამოცხადებაც გადაიდო.

13 ივნისს წაკითხულ და მიღებულ იქმნა რეზოლიუცია „სასცენო ხელოვნების" შესახებ. ხოლო დრამატიულ კურსების შესახებ" გამოითქვა სურვილი მისი დაარსებისა და ამის განხორციელება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელთა შემადგენლობაც ყრილობამ მისი სხდომების დასასრულ უნდა აირჩიოს. წაკითხულ იქმნა ბ. არჩ. ჯაჯანაშვილის მიერ მოხსენება „თეატრი სოფლად". რეზოლიუცია ამავ სხდომაზედვე შემუშავდა და მიღებულ იქმნა. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ბ. გ. ახრახაძემ „რეჟისურა". საკითხი გადაეცა არსებულ კომისიას გასარჩევად. წაკითხულ იქმნა შალვა დადიანის მიერ მოხსენება „პროფესიონალურ კავშირის" შესახებ. ყრილობამ სასურველად იცნო მისი დაარსება, ხოლო განხორციელება მიანდო თვით მსახიობთა კორპორაციას შემდეგ გარჩეულ იქმნა სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებული საკითხები მსახიობთა წლიურად მოწვევის შესახებ. საკითხს იცავდა ა. წუწუნავა და ყრილობამაც გამოსთქვა სურვილი, რომ მსახიობნი საზოგადოთ წლიურად იყვნენ მოწვეულნი და დასასვენებლადაც ეძლეოდეთ ორი თვე.

14 ივნისს იოსებ იმედაშვილმა წაიკითხა მოხსენება „სახალხო თეატრზე" და ყრილობის მიერ შესაფერი რეზოლიუციაც იქმნა მიღებული. განსაკუთრებულმა კომისიამ ყრილობას მოახსენა თვისი მუხლები „დრამატიულ საზოგადოებათა კავშირის" დასაარსებლად. ყრილობამ ამის განხორციელება მიანდო დრამატიულ საზოგადოებათ და მსახიობთა წარმომადგენელ მომავალ დელეგატთა კრებას ყრილობას მოხსენდა აგრეთვე კომისიის მიერ შემუშავებული საკითხები „ამპლუაზე" ავ. ფალავას მიერ, „ბენეფისებზე და იუბილეებზე" ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიერ. ორივენი კომისიის რედაქციით მიღებულ იქმნენ. შემდეგ ბ. არჩ ავალიშვილმა წაიკითხა მოხსენება „საპენსიო კასის დაარსებაზე". ყრილობამ სასურველად იცნო მისი დაარსება, ხოლო განხორციელება მიანდო თბ. დრ. საზ. გამგეობას. აგრეთვე წაკითხულ იქმნა შალვა დადიანის მიერ „სცენის მოყვარეთა მოქმედება".

15 ივნისს გარჩეული იყო შემდეგი საკითხები: ანტრეპრიზა, ნორმალური წესები და პირობები, რომელნიც კამათის შემდეგ გადაიდვა პირველ—მომავალ ყრილობისათვის და მეორენი—მომავალ დელეგატთა კრებისათვის. არჩეულ იქმნა კომისია დრამატიულ კურსების პროგრამისა და წესების შესამუშავებლად შემდეგ პირთაგან: ვ. მესხიშვილი, ვ დამბაშიძე, იოს. ბედევანიშვილი, ზ. ფალიაშვილი. პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებულ იქმნა, რომ მეორე ყრილობა მოხდეს 1916 წ.ქ. ქუთაისს და ყრილობამაც მიიღო ეს წინადადება. აგრეთვე გამოცხადებულ იქმნა, ყოველი ნაშრომი დღევანდელი ყრილობისა გამოცემულ იქმნას იმ ფულით, რომელიც ყრილობის წევრთა გადასახადისაგან შეგროვდა და თუ ეს ფული საკმარისი არ იქმნება, მაშინ შემწეობა ვთხოვოთ დრამატ. საზოგადოებათ. ყრილო-

ბამ ეს წინადადება დაადასტურა შემდეგ ყრილობამ გამოსთქვა თავისი მწუხარება იმ მოვლენის გამო, რომ იმერეთის დედა-ქალაქს ქუთაისს აქამდე არა აქვს რიგიანი თეატრის შენობა, რომ საზოგადოთ ჩვენს თეატრებში არ დაიარება შეძლებული ნაწილი ჩვენის ხალხისა და სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია სალამი უძღვნას ფოთს და ჭიათურას, საცა განზრახულია ახალი სათეატრო შენობის აგება. ამასთანავე ყრილობამ მადლობა გადაუხადა ყველა იმ დაწესებულებათა თუ კერძო პირთ, რომლებიც ავრცელებენ სათეატრო საქმეს და მუსაფერ დახმარებას უჩენენ და ბოლოს ყრილობა დაგვირგვინდა მხცოვან მგოსნის აკაკის გრძნობიერი სიტყვით, რომელმაც ყრილობას გაუზიარა თავისი აღტაცება, რომ სათეატრო საქმე ჩვენში ასე გაზრდილა.

ეს უკანასკნელი სხდომა დასრულდა ნაშუადღევის 5 საათზე.

## დადგენილებანი

### სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობისა

**1) რეპერტუარის შესახებ** (მოხსენება შალვა დადიანის):

„რადგანაც თეატრი სახელოვნო დაწესებულება არის, ამიტომაც მისი რეპერტუარი უნდა შეიცავდეს ხელოვნურ ნაწარმოებს: როგორც ყოფა-ცხოვრების კომედიას, სოციალურ ან ფსიხოლოგიურ განცდათა დრამას, აგრეთვე ისტორიულ პიესებსაც.

უპირატესობა უნდა მიეცეს ორიგინალურ პიესებს. რაიცა შეეხება კლასიკურ ნაწარმოებთ, მათი რეპერტუარში შეტანა მეტად სასარგებლოა და საჭირო.

ისტორიული პიესები, რომელნიც სავსებით მოკლებული არიან ხელოვნურ ელფერს, სრულებით უნდა განიდევნონ რეპერტუარიდან; ხოლო ის ისტორიული პიესები კი, რომელნიც კოჭლობენ, უნდა დაიდგას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ახალის გზით იქმნებიან დადგმულნი და სასცენო განსახიერება პიესისა დაჩრდილავს თვით პიესის ნაკლს.

თარგმანებში სასურველია დაიდგას მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები უცხოელ მწერლთა შემოქმედებისა.“

**2) რეცენზია და თეატრალური კრიტიკა** (მოხსენება კიტა აბაშიძისა):

„სასურველია პრესა სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოდ თეატრალურ კრიტიკას და რეცენზიას და ეცადოს ამ საქმის გაუმჯობესობისათვის. რეცენზიების წერა-კი დაავალოს სპეციალისტ თეატრალურ კრიტიკოსებს.“

**3) ქართული ენის შესახებ** (მოხსენება არჩ. ავალიშვილისა):

„ყრილობამ მოისმინა-რა ბ. ავალიშვილის მოხსენება და მიაქცია-რა ყურადღება მას, რომ ქართული ენა ჩვენს სცენაზე ცუდს მდგომარეობაშია, გადასწყვიტა: ეთხოვოს დრამატიულ საზოგადოებებს მიექცეს ყურადღება დრამატიულ ნაწარმოებთა ენის სიფაქიზეს და მოეთხოვოს არტისტებს ქართული ენის სრულის სიმართლით დაცვა.

ამისთვის ყრილობა, სხვათა შორის, აღნიშნავს შემდეგ ღონეს: ა) სცენაზე მიიღებოდეს მსახიობი საჯარო გამოცდის შემდეგ ქართულის ენისა და ლიტერატურის ცოდნაში. ბ) მოეთხოვოს დღევანდელ არტისტებს, რომელთაც დეფექტები აქვთ ქართული ენის ცოდნაში, ეს ნაკლი აიშორონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესახებ იქმნეს მიღებული სათანადო ზომები: სახელდობრ შენიშვნები და ჯარიმები. გ) სცენაზე და დრამატიულ ლიტერატურაში გაბატონებულ უნდა იქმნას ქართული ლიტერატურული ენა და განიდევნილი პროვინციალური კილო, თუ თვით პიესაში ზოგიერთ მოქმედ პირის როლი საგანგებოთ არ არის სხვა კილოთი დაწერილი ავტორის მიერ. დ) დრამატიულ საზოგადოებებს ეთხოვოს, არ დართონ ნება წარმოადგინონ ისეთი პიესები, რომელთა ენა შესწორებული და მოწონებული არ იქმნება საგანგებოთ ამისათვის მოწვეულ სპეციალისტების მიერ“.

**4) ქართული თეატრის დასაბამის შესახებ** (წინადადება პეტ. მირიანაშვილისა):

ა) „რადგანაც პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა ერეკლე მეფის დროს 1791 წ., ყრილობამ გადასწყვიტა ეთხოვოს თბ. დრ. საზოგადოებას მომავალ 1916 წ. გადაიხადოს 125 წლის იუბილე ამ დღესასწაულისა და ეცადოს დასდგას ის პიესა, რომელიც მაშინ იყო წარმოდგენილი ე. ი. „მეფე

თეიმურაზი“ ავალიშვილისა. ბ ვინაიდან ჯერ გამორკვეული არ არის დღე პირველის ქართულის წარმოდგენისა, ამისათვის ვიდრე ეს გამოირკვეოდეს, დარჩეს სადღესასწაულოთ ისევ დღე **ორი იანვარისა,** მით უმეტეს, რომ ამ დღეს ჩაიყარა საძირკველი მუდმივი ქართულის თეატრისა“.

**5) სასცენო ხელოვნების შესახებ** (მოხსენება აკაკი ფაღავასი):

„მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სცენა შეძლებისდაგვარად ემსახურება თავის დანიშნულებას და წინ-სვლა ეტყობა, დღევანდელი მისი მდგომარეობა მაინც კიდევ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას; ამიტომაც ყოველი ღონისძიება იქმნას მიღებული სასცენო ხელოვნების გასაუმჯობესებლად.

ყრილობა ამ საგნის განსახორციელებლათ საჭიროდ სთვლის:

ა) მოწვეულ იქმნას ხოლმე შესაფერისი ნიჭით, გემოვნებით და ცოდნით აღჭურვილი რეჟისორი და მსახიობნი.

ბ) ყოველივე ღონე უნდა იქმნეს მიღებული ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლათ, დრამატიულ საზოგადოებათ და იმ დაწესებულებათა, რომელნიც სათავეში უდგანან ქართული თეატრის საქმეს

გ სასცენო მოწყობილება უნდა იქმნეს დაყენებული თანახმად სპეციალისტ რეჟისორის მოთხოვნილებისა

დასასრულ ყრილობას სასიამოვნოდ მიაჩნია, რომ ქართული თეატრი დაადგა განახლების გზას და სურვილს აცხადებს, რომ მუდამ სუფევდეს ცოცხალი სული და მხატვრული ძიება“.

**6) დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ** (მოხსენება ექ. ვ. ღამბაშიძისა):

ა) „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა მიიღებს მხედველობაში ბ-ნ ვ. ღამბაშიძის მოხსენებას, საჭიროდ სთვლის დრამატიული კურსების დაარსებას ფართო პროგრამით. ამ კურსების პროგრამის პროექტის დამუშავება დაევალოს სპეციალურად არჩეულ კომისიას; ბ) გამოსთქვამს სურვილის დაუყონებლივ დაარსდეს პრაქტიკული სტუდიები თუ ყველა არსებულ თეატრთან არა, — თბ. დრ. საზ. გამგეობასთან მაინც. ყრილობა ეგრეთვე სურვილს აცხადებს, რომ დრამატიულ საზოგადოებებმა და წრეებმა ყოველ წარმოდგენიდან გადასდონ არა ნაკლებ ერთის მანეთის მომავალ დრამატიულ კურსების ფონდისთვის და ყველა იმ დაწესებულებათ, რომელნიც ფულსა ხარჯავენ უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდობის აღსაზრდელათ, ყურადღება მიაქციონ სცენის მოღვაწეთა აღზრდასაც“.

**7) სოფლის თეატრის შესახებ** (მოხსენება არჩ. ჯაჯანაშვილისა):

„სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა სასურველად და სასარგებლოთ სცნობს, რომ არსებულმა დრამტიულმა საზოგადოებებმა, წრეებმა და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ. განყოფილებებმა ხელი შეუწყონ პროვინციასა და სოფლად თეატრის საქმის განვითარებას. საჭიროა შემუშავდეს შესაფერი ტიპი მოძრავი თეატრისა, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი არ იქმნება, ხელი შეუწყონ შესაფერ მუდმივი ბინის შექმნას. გარდა იმ საშუალებისა, რომელსაც საზოგადოებანი და წრეები მიმართავენ ამ მიზნის განსახორციელებლად, ყრილობა სურვილს აცხადებს, რომ ერთი რომელიმე განსაზღვრული დღე სეზონის განმავლობაში გამოცხადდეს სახალხო დღეთ, როდესაც გაიმართება წარმოდგ;ნები სოფლის თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. ამას გარდა ყრილობა სურვილს აცხადებს, რომ ქართული თეატრი იმ პროვინციებშიაც განვითარდეს, სადაც ქართველი მაჰმადიანები მოსახლეობენ“.

**8) რეჟისურის შესახებ** (მოხსენებანი გ. ახრახახაძისა და აკ. ფაღავასი):

ა) „რეჟისორი არის აღჭურვილი საზოგადო და სპეციალურ განათლებით, ხელოვანი შემქმნელი წარმოდგენისა, როგორც მთლიანი მხატვრული ნაწარმოებისა. ბ) სახელი რეჟისორისა უნდა ეწოდებოდეს იმ პირს, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება, ან დაუდგამს რამდენიმე პიესა ხელოვნების მოთხოვნილების **minimumi** ს დამაკმაყოფილებელი. ვინიცობაა რეჟისორობას მოისურვებს ისეთი პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ერთ პირობას, იგი უნდა გამოიცადოს სათანადოთ და ერთი სეზონის მუშაობის შესაფე-

რისი მუშაობის შემდეგ ცნობილ იქმნას რეჟისორად. გ) ანტრეპრიზას რეჟისორთან ისეთი დამოკიდებულება უნდა ექმნეს, რომ რეპერტუარი და დასი შედგენილ იყვეს რეჟისორის თანხმობით. დ) მსახიობი სასცენო მუშაობის დროს სრულიად ექვემდებარება რეჟისორს. ე) რეჟისორის მინიმალური მოთხოვნილებანი პიესის ტეხნიკურ მხარის განსახორციელებლად უეჭველად უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეჟისორს უფლება უნდა ეძლეოდეს უარი სთქვას პიესის დადგმაზე. ამასთანავე ეს პირობა გათვალისწინებული უნდა იქმნას სეზონის დასაწყისს, რეპერტუარის და დასის შედგენის დროს.

აგრეთვე გამოითქვა სურვილი ეთხოვოს თბ. დრ. საზ., რომ დაუყონებლივ შეუდგეს სპეციალურ ბიბლიოთეკის დაარსებას".

**9) მსახიობთა ვითარების შესახებ** (საგანგებო კომისიის წინადადება—მომხსენებელნი ა. წუწუნავა და ა. ფაღავა):

ა) „არც ერთი არტისტი არ იყვეს ამპლუის მიხედვით მოწვეული და ბ) ყველა არტისტი მოწვეულ იქმნას წლიურად და დასასვენებლათ მიეცეთ მათ ორი თვე ადგილობრივ პირობების მიხედვით.

**10) ბენეფისისა და იუბილეის შესახებ** (მომხსენებელი ვლ. ალ-მესხიშვილი):

„რადგანაც დღევანდელი სახე ბენეფისებისა და იუბილეისა შემაფერხებელია ხელოვნებისა, საზოგადო ქართ. სცენის ხელმძღვანელთათვის და შეუსაბამო თვით მსახიობთათვის, ყრილობა სურვილს აცხადებს სრულიად მოისპოს იუბილეები ბენეფისების დღევანდელი წესი. სასურველია მხოლოდ აღნიშნულ იქმნას **15, 25** და **40** წლის დღე მსახიობის სამსახურისა· თუ როგორ სახეს მიიღებს ამ დღეთა აღნიშვნა, ეს დამოკიდებული იქმნება თანამედროვე პირობებისგან (მსახიობის ნიჭი, დამსახურება, სიყვარული და პატივისცემა) ეს სურვილები უსათუოდ უნდა განხორციელდეს დღესვე დიდ ცენტრებში, ხოლო სხვა ადგილებში შეძლებისდაგვარად დაუახლოვდეს ამ სურვილს, რაც შეიძლება მალე. რადგან ბენეფისი ერთ-გვარი წყაროა ისედაც საკმაოთ არა უზრუნველყოფილ მსახიობთათვის, საქმის მწარმოებელმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

**11) სახალხო თეატრის შესახებ** (მოხსენება იოსებ იმედაშვილისა):

„სასურველია სათეატრო საქმის მწარმოებელმა განსაკუთრ. თბ. და ქუთაისის, ბათუმისა და დიდ დაბა-სოფლებში მოქმედთა დრ.საზოგ.-ს გამგეობებმა ყურადღება მიაქციონ ყველასათვის ხელმისაწვდომ იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას. ბ) სასურველია დრამატ. საზოგადოებათ მეტი ყურადღება მიაქციონ სახალხო თეატრის წარმოდგენების მმართველ წრეთ სხვადასხვა გვარის დახმარებით, განსაკუთრებით რეჟისურის მხრით. გ) შემუშავებულ იქმნეს სახალხო თეატრისთვის ერთნაირი რეპერტუარი. დ) სასურველია თბ. დრ. საზ.-მ აღძრას სათანადო შუამდგომლობა, თბილ. ქართული თეატრი გადაკეთებულ იქმნეს ისე, რომ იაფ-ფასიან ადგილების რიცხვი მოემატოს."

**გარდა ამისა ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ:**

1) დაარსებულ იქმნეს დრამატურგთა კავშირი;

2) დაარსებულ იქმნეს დრამატიულ საზოგადოებათა კავშირი, რომლის წესდების შედგენა და საქმის მოწყობა მიენდო დელეგატთა კრებას;

3) დაარსებულ იქმნეს პროფესიონალური კავშირი, რომლის მოწყობა თავს იდვან თვით მსახიობთ.

ანტრეპრიზი და ნორმალურ წესის საკითხი გადაიდო მომავალ ყრილობისთვის·

**დრამატიულ კურსების** მომწყობ კომისიაში არჩეულ იქმნენ: იოსებ გედევანიშვილი, ვლ. ალ.-მესხიშვილი, ექ. ვ. ღამბაშიძე, მ. ქორელი და ზ. ფალიაშვილი.

# „იასონის ოინები"

## სურათი მეორე.

(თეიმურაზი პარტერის პირველ რიგშია, **იმის** პირდაპირ პარტერსა და სცენას შუა ხიდია, რომ ზედ გასვლა შეიძლებოდეს. სცენა წარმოადგენს საშუალო ოთახს. გასავალი კარი სამია: შუაზე, მარჯვნით და მარ-

ცხნით. ძირს ფარდაგები აფენია, ერთ მხარეზე ტახტია ხალიჩათა და მუთაქა-ბალიშებით. წინ პატარა მაგიდა, სკამები გაბნეულია. ტახტის ზევით კედელზე ძველი იარაღია ჩამოკიდული. თეიმურაზი იმ დროს უნდა შემოვიდეს კანტორში, როცა ფარდის ახდის დროა და პარტერში უკვე დაბნელებულია, რომ საზოგადოებამ ვერ შენიშნოს. მეორე რიგში ივანე ზის. ქანდარაზე მაქსიმე. შემოვა მარცხენა კარიდან ალათი პატარა ცოცხით, ოთახს ალაგებს და წმენდავს. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავე კარიდან შემოვა ოთია. თამაშობან „ბებერ ქმარ"-ს.)

**ოთია**. ქალბატონი სად არი, ალათი?

**ალათი**. (თავს არ აიღებს) ტრაპიზონში. რა ვიცი მე სად არი?

**ოთია.** არა გაცოდინარა ჩემმა გამჩენმა. რა გულზე ხარ თუ იცი?

**ალათი** გული გაგისკდა შენ, გული, ჰოო?

**ოთია**. რატომ გამისკდა?

**ალათი.** რატომ და იმიტომ! რას დამდევ აპა უკან, თვალები არა გაქ თუ! წადი და მონახე ქალბატონი, თუ გინდა.

**ოთია.** ერთი ამას უყურეთ! შენც ღმერთმა შეგარცხვინა და შენი უკან მდევნელიც. აქ შემევედი, ქალბატონთან საქმე მქონდა შენ დამიხვდი. მორჩა და გათავდა.

**ალათი.** რა საქმე გქონდა ქალბატონთან?

**ოთია.** რაი ბეჩა და, უნდა მეკითხა: ი ბოვში იძახდა არჩილმა ყანაში შექმნეს თუ ვენახში.

**ალათი.** (დიმილით) იი, შენ კი გაგიხმა ეგ ენა, შენ, ჰოო!

**ოთია.** (დიმ.ლით) აპა რა უნდა ვკითხო! ყველაფერი მზათ არი და გოჭები დავაფიცხო თუ არა ჯერ, არ ვიცი.

**ალათი**. ჯერ არც ნათლიები მოსულან და არც მღვდელი და რა გეჩქარება გოჭების დაფიცხება!

**ოთია.** აგრე მითხარი, შენ კაი ქალო, რა გულზე ხარ რა? თუ ვენახში წამომყვები, მეც კი მოვახერხებ კოხტა ბიჭის გაკეთებას (იღიმება)

**ალათი**. (შეჩერებია წელში გამართული, შემდეგ შეაფურთხებს) თფუჰ ისე არა გაქ შენ ნამუსი, რავარც ძაღლს არა აქ, ძაღლს (განაგრძობს მილაგებას)

**ოთია**. ვითომ რატომ არა მაქ ნამუსი შენი ქალბატონი რო ვენახებში დაძვრება ვაჟის შესაძენად, რატომ იმას არ ელიკლიკები მანგრე?

**ალათი.** შენი საქმე არ არის.

**ოთია**. აპა რა არის ჩემი საქმე?

**ალათი**. (ცოცხს უღერებს) იქით გამეცალე, თვარა ღვთის წყალობა მომეცა, მე შენ დღეს!

**ოთია.** თუ მოგასწა-ი ვენახში, მე ვიცი, რაც არის ჩემი საქმე!

**ალათი**. მანამდე არა შეჭამარა შენმა ღრანქება.

**ოთია**, აჰა, აღდომა და ხვალო.

**ალათი.** გაგიწყრა აღდომის მადლი, რაც შენ ვერა გამიბედო-რა ვერც ვენახში და ვერც სხვაგან.

**ოთია**. მართლა ალათი, მართლა!

**ალათი**. მართლა!

**ოთია**. (გულში ხელს ირტყამს) ვაი, დედიჩემის შვილი არა ვყოფილვარ, თუ არ მოგაგონე ეგ სიტყვები თუ აქამდინ ნამუსი შეგინახე, იმიტომ რომ, რავარც ჩემ საცოლეს ისე გიყურებდი.

**ალათი**. (დიმილით) მანამდე არ ადგა შენი გვერდები, რავარც მე შენ ცოლათ არ წამოგყვე.

**ოთია.** აჰ, წამომყვები კი არა! ვისგან თქმულა! ვნახო რო მეხვეწებოდე კიდეც.

**ალათი**. (დადინჯებით) როგორ არა! კისერზე ჩამოგეკიდები, შენ'ა სიცოცხლემ. შენისთანა ცხვირ მოუხოცელი რომ ქმრათ მდომებოდა, აქამდინ ათჯერ გავთხოვდებოდი. (მარჯვენა კარიდან შემოვა ქეთევანი)

**ქეთევანი**. აქ რას აკეთებ ბიჭო! მზათ გაქ ყველაფერი?

**ოთია**. მზათ გახლავს, ქალბატონო, მარა გოჭები არ დამიფიცხებია ჯერ.

**ქეთევ**. რაღას უყურებ, აწი მოვლიან საცა არის. (ოთია მარცხენა კარით გადის) ალათი, შენ წადი ახლა და ნელა-ნელა სუფრის გაშლას შეუდექი. (ალათი მარცხნით გადის) ღმერთო, თუ ჩემი ბებერი ქმარი მალე ჩაღძვა, სრულებით ბედნიერი ვიქნები, სრულებით. მე და ჩემ არჩილს მაშინ ველარაფერი ველარ დაგვაშოშებს, ველარაფერი. (შუა კარიდან შემოვა ალმასხანი) იიჰ, შამოჩოჩიალდა ბებერი; საცა წავალ, უკან უნდა დამედევნოს უთუოთ.

**ალმასხანი.** სადახარ, ჩემო მარგალიტო,

სტუმრები თანდათან მოგროვდენ ეზოში.

**ქეთევ.** მე ათასი საქმე მაქ და სტუმრებს შენ უნდა დაუხვდე,—რას მიკეთებ?

**ალმას.** მე ჩემ პატარა ბიჭუნიასთან ვიყავი. (ღიმილით) როგორც მთვარე, ისე გამოიყურებოდა აკვანში. ჰიტაა — დავუძახე „მეტაა“. შემომიჭყლოპინა.

ვ. გუნია

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## წვრილი ამბები

### სამშობლოში

**ახალი პიესა**—„ცხოვრების ტალღა“, 2 მოქ.,—დასწერა ვ. საათაშვილმა. გვისურათებს სოფლის ინტელიგენციის ცხოვრებას.

**ბათუმის დრამ. საზ-ამ** საბოლოვოდ გადასწყვიტა მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონში დასი იყოლიოს. დასისათვის საჭირო მსახიობთა მოსაწვევად თბილისს ჩამოვიდა ბათუმის დრამ. საზ. გამ-ის თავმჯდომარე ივ. სიმ. მესხი. ბ-მა მესხმა უკვე მოილაპარაკა ზოგიერთ მსახიობებთან და ჯერჯერობით მიწვეული არიან: რეჟისორად—კ. ანდრონიკაშვილი—მის თანაშემწედ—ალ. გუგუშვილი. მსახიობებად: ქ-ნი გ. ქილარჯიშვილი, ნ. გამრეკელ-თორელი, ე. ციმაკურიძე, ა. ჩარკვიანი; ბ-ნი: ნ. გვარაძე, ი. ჟივიძე, ნ. მეტრეველი, ნ. ჩაგუნავა, სარელი. მოლაპარაკებაა მ. მდივანთან და გ. იშხნელთან.

**ალ. ყალაბეგიშვილი**, ქართული თეატრის მსახიობი, ამ ზაფხულის სეზონში ხონს მიიწვიეს რეჟისორად, რომელიც უკვე გაემგზავრა და თვის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

**შალვა დადიანი** საზაფხულოდ კახეთს—ბაკურციხეს გაემგზავრა; როგორც შევიტყეთ, ელიობას თელავს იწვევენ ილია ჭავჭავაძის საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

**დანამდვილებით შევიტყეთ**, რომ მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონში დრამატიული დასები იქნება ქ. თბილისს, ქუთაისს, ბათომს, ბაქოსა და ჭიათურაში.

**ჭიათურის სახალხო თეატრის** რეჟისორად მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონისთვის მიწვეულია თბილ. ქართ. დრამ. დასის მსახიობი ივ. ბარველი. დასში მიწვეულია ჯერჯერობით: ქ-ნი ოლა ლეჟავა, ო. ღოღობერიძე; ბ-ნი—კ. მაჭარაძე, შ. ხონელი; სუფლიორად—გ. გურული. სეზონა 1 ენკენისთვიდან—1 ივნისამდეა.

**დრამატურგი ი. გედევანიშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის ნება-დაურთველად აკრძალულია „სინათლე“-ს, „მსხვერპლი“-ს, „გამცემი“-ს და „ოჯახი“-ს სცენაზე დადგმა.

**მსახიობ ვ. მატარაძის** სასარგებლოდ ალაგირიდან ანდრიასაგან მივიღეთ 4 მ. და 50 კ. ალაგირის ქართული სცენის მოყვარეთა ერთ ნაწილში შეგროვილი. შემოსწირეს თითო მანათი—ილ. ლობჯანიძემ, ილ. გუგებაშვილმა და ა. კალანდარიშვილმა; ათათი შაური ნ. ლობჯანიძემ, ს. ჭეიშვილმა და ო. ლობჯანიძემ. ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

**მივიღეთ „სევდის ჰანგები“**—ლექსთა კრებული—დარია ახვლედიანისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, 56 გვ. ფ. 20 კ.

**„ხაშურის უფასო სამკითხველოს“** სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში წარმოდგენა გაიმართება.

**დ. ხაშურში ვ. ჯაფარიაშვილის** სათეატრო შენობაში 22 ივნისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“. ხალხი ბლომად დაესწრო. დაწვრილებით შემდეგ.

**ივ. მესხი**, ბათუმის დრ. საზ. გამ. თავმჯდომარე, გუშინწინ ბათუმს გაემგზავრა.

### რუსთა შორის

**„მეუფე ურიათა“**-ს წარმოდგენა, როგორც ვუწყით, ნებადართული არ არის, სამაგიეროდ შეიძლება პიესის სცენაზე კითხვა, რაიცა უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე და საზოგადოებაც ეტანება. მადაგახსნილმა სათეატრო საქმის მწარმოებლებმა მოინდომეს განსაკუთრებული უფლების მოპოება, რომ საკუთრად ესარგებლნათ, მაგრამ ეს არ მოხერხდა. პიესა სცენაზე შეუძლიან წაიკითხოს ყველამ, ვისაც ექნება მისი უავგუსტოესი ავტორის ნებართვა.

**სათეატრო სკოლას** ხსნიან შემოდგომიდან მოსკოვში მსახიობქალი ი. ვ. ვასილიევისა და პატარა და სამხატვრო თეატრების რეჟისორად ნამყოფი ნ. ა. პოპოვი. სკოლაში განსაკუთრებით პრაქტიკულ მეცადინეობას ექნება მიქცეული ყურადღება.

**პირველი საბავშვო თეატრის** დაფუძნება განუზრახავთ მოსკოვში. რეპერტუარი განსაკუთრებით ზღაპრულ პიესებიდან იქნება შედგენილი, დიდი ყურადღება ექნება მიქცეული მხატვრულ მხარეს.

**„მუშათა თეატრის“ საზოგადოება** დაფუძნდა პეტერბურგში, რომლის მიზანია მუშათათვის ჰმართოს წარმოდგენები, ლექციები, საუბრები, სამუსიკო-სალიტერატურო დილა-საღამოები, ექსკურსიები და კონცერტები, სასცენო ხელოვნების კურსები, შეადგინოს მგალობელთა გუნდნი, დრამატიული დასნი და სხ.

### უცხოთა შორის

**გარდაიცვალა მეინინგელთა თეატრის** დამფუძნებელ-შემქმნელი ჰერცოგი გიორგი II საქსენ-მეინინგელი, დაბადებიდან 88 წ. მეინინგელთა თეატრი აღორძინდა და გაიფურჩქნა გერმანიაში 70-80-იან წლებში და მთელს ევროპაში დიდი სახელი მოიხვეჭა სათეატრო საქმეში ახალი მიმართულების შემოღებით (უმთავრესად ანსამბლის შექმნით). ამ თეატრში ერთ დროს მონაწილეობდენ სახელგანთქმული მსახიობნი ლიუდვიგ ბარნაი, პოსარტი და სხ. მოსკოვის სამხატვრო თეატრი მისი გავლენით შეიქმნა. დაწვრილებით შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში.

დღეს, კვირას, 29 ივნისს

## სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან 25 კ. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

ქალები და სტუდენტები შესვლის ფასს არ იხდიან

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობითათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**



# აღსასრული ადამიანის ტანჯვისა
# სუსუნატის წამლობა.

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით **№ 1295**, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ-“ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანავე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანახმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი მე—9-ე მ. ხ! დიდად და დიდად გმადლობთ თქვენის წამლის „რაპიდ“-ისათვის. ვეცდები ეს წამალი ვურჩიო ჩემს ნაცნობებსაც და ამითი დაგიმტკიცოთ ჩემი მადლობა.

თქვენი პატივისცემელი ვ. მ. ს. ქალ. როვნო.

წერილი 20-ე მ.ხ. ბ-ნო დელამურე! ამით პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ არასოდეს არ მოველოდი ისეთს შედეგს, რასაც მივაღწიე. ბევრნაირი წამალი ვცადე მაგრამ უნაყოფოდ. ეხლა კი ყველა ჩემს ნაცნობებს, ვინც ამ სნეულებით იტანჯება, ვურჩევ თქვენს პრეპარატს „რაპიდ“-ს, რომლის წყალობითაც სრულებით განვიკურნე ამ სნეულების ყველა შედეგებისაგან, გულწრფელის პატივისცემით პ. ც. ქალ. სევასტოპოლი.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ. ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

**თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ., №16, 13,** სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში. ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისახ. № 14. № 4.

# ექიმები:

**ა. ლ. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

---

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

---

**ვ. დ ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

---

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

---

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

---

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

---

**ა. ნ. დიასამიძე**

(ორდინატორი თბილისის სარკინის გზო საავადმყოფოსი)

კანის, ვენერიული და ათაშანგისა.

შუადღით 1—$2^1/_2$ ს., საღამოთ 6—8 ს.

მოსკოვის ქ. № 4.

---

**ივ. გ. გომართელი**

შინაგან ავადმყოფობათა

**1 ივნისიდან**

**ბორჯომში**

---

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

## სანატორიუმი

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

---

**ხელოვნურად** **სამკურნალოდ** **შეზავებული** **ხილეულობის წყალი**

## მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11, ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(20—16)

---

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(10—2)

---

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—2)


---


სტამბა „სორაპანი"    Типографія „Сорапань"